

წამყვანი ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენციის თავმჯდომარემ რობერტ შუგარმენმა და აშშ-ის წამყვანი ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენციის გენერალურმა აღმასრულებელმა დირექტორმა მალკოლმ ჰონლაინდმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მოსალოცი წერილი გაუგზავნეს.
მოსალოც წერილში წერია:
"პატივცემულო პრეზიდენტო! მიიღეთ ჩვენი მოლოცვა პრეზიდენტის კიდევ ერთი ვადით არჩევასთან დაკავშირებით. თქვენი გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ თქვენი ხელმძღვანელობა სიბრძნით, მიღწევების დიდებულობით და აზერბაიჯანელი ხალხის მხარდაჭერით ხორციელდება.
ბაქოსა და ნიუ-იორკში თქვენთან ჩატარებულ რეგულარულ შეხვედრებს ვიხსენებთ.
ჩვენი დიალოგების გაგრძელებას ვიმედოვნებთ. აზერბაიჯანში ჩვენმა ვიზიტმა დიდი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, თქვენს ქვეყანაზე და ხალხზე ღირსეული წარმოდგენა შეგვექმნა. კმაყოფილნი ვართ თქვენი პარტნიორობით და მუდმივ მხარდაჭერისთვის მადლობას გიხდით".